ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 542

„ 23 ივნისი 2008 წ.

ქ. თბილისში, სტანისლავსკის ქუჩის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2008 წლის 17 იანვისის №07-08 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

1. ქ. თბილისში, სტანისლავსკის ქუჩის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=3,3.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირი №1ა) გაცნობიდან ერთ თვეში.

გიორგი უგულავა